არქივი დაამუშავა თამარ მაისურაძემ.
ელექტრო ვერსია სოფო გოგუაძის. (2021 წ.)

მედეა ჩახავა

მედეა ჩახავა დაიბადა 1921 წლის 15 მაისს გეგეჭკორის რაიონის სოფელ სერგიეთში, ექიმის ოჯახში. მამა, ვასილი ჩახავა ცნობილი გინეკოლოგი გახლდათ. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის გამო მას ხშირად უხდებოდა საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. სწორედ მამის პროფესიიდან გამომდინარე, 1928 წელს მის ოჯახს აბაშის რაიონში მოუწია დროებით დასახლება და პატარა მედეას ამავე რაიონის საშუალო სკოლაში მოუწია სწავლის გაგრძელება, სადაც 1935 წლამდე სწავლობდა. ამავე წლის მარტიდან 1936 წლის იანვრამდე ჩახავების ოჯახი ლენინგრადში დღევანდელ პეტერბურგში გადავიდა საცხოვრებლად და იქ იღებს საშუალო განათლებას. 1937 წელს კი ის ოჯახთან ერთად საქართველოს დედაქალაქში ბრუნდება საცხოვრებლად, სადაც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1938 წელს მომავალმა მსახიობმა თბილისის სტალინის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, ინგლისური ენის განხრით ჩააბარა, რომლის სრული კურსიც არ დაასრულა და ბავშვობის ოცნება აიხდინა. სწორედ ამ დროს გაიხსნა თეატრალური ინსტიტუტი და მედეა ჩახავა სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ამის შესახებ იგი ავტობიოგრაფიაში წერდა: ***„მომეცა საშუალება ამესრულებინა ჩემი განუშორებელი ოცნება მიმელო უმაღლესი თეატრალური განათლება და გავმხდარიყავი მსახიობი“.*** მ. ჩახავა სცენაზე პირველად ბავშვობაში, 1927 წელს გამოვიდა, რის შემდეგაც იგი სასკოლო წარმოდგენებში ხშირად ღებულობდა მონაწილეობას და დიდ მოწონებასაც იმსახურებდა. სწორედ ამან განაპირობა მისი მომავალი პროფესია, რამაც ქართულ ხელოვნებაში უდიდესი ადგილი დაუმკვიდრა. ახალგაზრდა მსახიობი თეატრალურ ინსტიტუტში სტალინური სტიპენდიანტიც კი გახდა.

1943 წელს მან დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი და მომდევნო წელს იგი უკვე თეატრში მსახიობად იწყებს მუშაობას და პარალელურად მონაწილეობას იღებდა საქართველოს რადიოს მხატვრულ გადაცემებში.

მ. ჩახავა ასრულებდა სახასიათო როლებს, როგორიცაა: ასმათი - ს. კლდიაშვილის „ირმის ხევი“, მედეა - ს. კლდიაშვილის „დღესასწაული საკრაულაში“, ციცინო - გრ. ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშ“, გაიანე - ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“, რომლისთვისაც მსახიობს სტალინური პრემიის ლაურეატის უმაღლესი წოდება მოენიჭა, მზექალა - ი. მოსაშვილის „გზა მომავლისა“, თინა - ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“, ამარანტა - ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელი“ და სხვ.

მსახიობი პერიოდულად მუშაობდა კინოსტუდიაში და მონაწილეობდა კინოფილმებში, სადაც შესრულებული აქვს როლები: ჟუჟუნა - „ბედნიერი შეხვდერა“, ცქრიალა - „ჟუჟუნა“, მელანო - „ბაში აჩუკი“ და ეპიზოდი ფილმში „გიორგი სააკაძე“.

1954 წლიდან მ. ჩახავა საბჭოთა კავშირის კ. პ. წევრი გახდა.

1955 წ. მსახიობი არჩეულ იქნა ქ. თბილისის კალინინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს წევრად.

1955 წ. ჩახავას მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება.

მედეა ჩახავა დაჯილდოვებულია მედლებით: 1946 წელს „მამაცურ შრომისთვის დიდ სამამულო ომში 1941-1945 წწ.“ და „შრომითი მამაცობისთვის“, 1950 წელს განახლებული ქართული თეატრის 100 წლისთავის აღსანიშნავ იუბილესთან დაკავშირებით.

მიღებული აქვს რამდენიმე საპატიო სიგელი.

მიუხედავად ხანდაზმულობისა მან მთელი ცხოვრება ქართულ ხელოვნებას, კერძოდ, თეატრს შეალია.

2009 წლის 7 სექტემბერს ოთხმოცდა რვა წლის ასაკში მედეა ჩახავა თბილისში გარდაიცვალა.

ხელოვნების სასახლის ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა ფონდში არც თუ ისე დიდი მასალაა დაცული მედეა ჩახავას შესახებ, თუმცა არქივი შესაძლებლობას იძლევა მკვლევართათვის მსახიობის შესახებ მნიშვნელოვანი მასალა ხელმისაწვდომი გახდეს.

მედეა ჩახავას პირადი საარქივო ფონდი
ბიოგრაფიული და საზოგადეობრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

ავტობიოგრაფიები

1. მედეა ჩახავას ავტობიოგრაფია.
   1943 წ. 13 აგვისტო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

2. მედეა ჩახავას ავტობიოგრაფია.
   1950 წ. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

3. მედეა ჩახავას ავტობიოგრაფია. (დაწერილი გრ. ბუხნიკაშვილის მიერ)
   უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

4. მედეა ჩახავას მოკლე ბიოგრაფია.
   უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 1გვ.

5. მედეა ჩახავას ავტობიოგრაფია. ერთვის შემოქმედებითი მოღვაწეობების ამსახველი სია.
   უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 5გვ.

კადრების აღრიცხვის ფურცელი და საკვალიფიკაციო ფურცელი

6. მედეა ჩახავას კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1943 წ. 13 აგვისტო. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.

7. მედეა ჩახავას კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1950 წ. 11 ნოემბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. მელანი. 4 გვ.

8. მედეა ჩახავას კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1951 წ. ბლანკი. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. მელანი. 4 გვ.

დახასიათებები

9. რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრის დირექტორ დ. ანთაძის მიერ დაცემული მედეა ჩახავას დახასიათება.
1959 წ. 17 დეკემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს - დ. ანთაძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.

10. რუსთაველის თეატრის დირექციის მიერ გაცემული მედეა ჩახავას დახასიათება.
1959 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. (აკლია მე-2 ფურც.) 3 გვ.

11. რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექციის მიერ გაცემული მედეა ჩახავას დახასიათება.
1977 წ. 21 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: დირექტორი - აკ. ბაქრაძე; პარტ. ბიუროს მდივანი - ერ. მანჯგალაძე; ადგილკომის თავჯ. - ჯ. ღაღანიძე. 1 გვ. (2 ეგზ.)

ცნობები

12. მედეა ჩახავას ბენეფისის ამსახველი ცნობა. [გამოქვეყნდა საქართველოს თეატრალური საზოგადოება „მოამბეში“ 1957 წ. აპრილი].
უთარიღო. ნაბეჭდი. ამონარიდი. პრესიდან. 2 გვ.

13. მედეა ჩახავას ბიოგრაფიული და შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ცნობა.
უთარიღო. ბლანკი. ხელით შევსებული. რუსული ენა. 2 გვ.

მიმართვა

14. რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრის დირექტორ პ. მურღულიას მიმართვა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს თეატრალური განყოფილებისადმი, მ. ჩახავას თეატრში მსახიობის თანამდებობაზე მიღებასთან დაკავშირებით.
1944 წ. 31 იანვარი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს - პ. მურღულია. 1 გვ.

სიები

15. მედეა ჩახავას შესრულებული როლების სია.
    უთარიღო. ხელნაწერი. 3 გვ.

16. მედეა ჩახავას ბიოგრაფიული მონაცემები და თეატრსა და კინოში შესრულებული როლების სია. (ჩაწერილი გრ. ბუხნიკაშვილის მიერ)
    უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

პროგრამები

17. რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრში გამართული მედეა ჩახავას ბენეფისის პროგრამა.
    1956-57 წწ. სტამბური. 1 ც.

18. მედეა ჩახავას შემოქმედებითი პორტრეტის პროგრამა.
    1989 წ. 17 იანვარი. სტამბური. 1ც.

19. რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრში გამართული მედეა ჩახავას 85 წლის იუბილისადმი მიღძვნილი საღამოს პროგრამა.
    2006 წ. თბილისი. სტამბური. 1 ც. (2 ეგზ).

მოსაწვევი ბარათი

20. რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრში გამართული მედეა ჩახავას შემოქმედებითი საღამოს მოსაწვევი ბარათი.
    1975 წ. 19 მაისი. სტამბური. 1 ც. (2 ეგზ.)